სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4

2021 წლის 5 აპრილი

ქ. სამტრედია

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილი №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 28.04.2015. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.120.016159) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები და ჩატარების წესი''-ს პირველი მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტის ,,ა.ი''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებზე კრედიტის (სახელფასო, იპოთეკური, სამომხმარებლო) გაცემის უზრუნველყოფა;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბანკომატი აუცილებელია მდებარეობდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც კონკურსში გამარჯვებულმა პირმა უნდა განათავსოს 1 (ერთი) თვის ვადაში.

გ) მე-7 პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებზე განახორციელოს VIP მომსახურება.

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები და ჩატარების წესი''-ს მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

კონკურს ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

კომისიას თავმჯდომარეობს მერის გადაწყვეტილებით მერიის ერთ-ერთი თანამდებობის პირი.

კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიან: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის უფროსი (უფროსები) და/ან განყოფილების უფროსი (უფროსები), და/ან მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სპეციალისტები), და/ან მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სპეციალისტები), და/ან საკრებულოს წევრი (წევრები). კომისიაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეულ იქნან სხვა პირებიც.

4. მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ ჯამბურია**